შპს "კრუგი"

LTD "KRUGI"

შენობა-ნაგებობების ტექნიკური დიაგნოსტიკა/ექსპერტიზა

ქ.თბილისი, გორგასლის ქ.№8

ქ.თბილისი

7 მაისი 2020 წ.

ვამტკიცებ:

შპს „კრუგი"-ს დირექტორი

ლ.ოსეფაშვილი

ქ.თბილისი, მეველეს ქ.N7ა (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.12.014.053) შენობა N06/1 და N07/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგანლენის კვლევის ანგარიში

დამკვეთი – შპს „მილერი 2020" ს/კ 405304029;

საექსპერტო ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, მეველეს ქ.N7ა (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.12.014.053)

შემსრულებელი ექსპერტი – თამაზი ქვრივიშვილი ინჟინერი-მშენებელი, კონსტრუქტორი.

ექსპერტიზის ამოცანა – ქ.თბილისი, მეველეს ქ.N7ა (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.12.014.053) მდებარე ამორტიზებული, სასაწყობე დანიშნულების N06/1 და N07/1 შენობების სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობებზე და შესაბამისი ანგარიშის მომზადება - III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – სამშენებლო მოედნის 10 მეტრის რადიუსში საქართველოს მთავრობის დადგენილება - №255 31.04.2019 წ მუხლი 6, პუნქტი-9;

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:
1) სნ და წ. პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
2) სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"

3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;
4) სამშენებლო ნორმები და წესები 2.03.01-84 „ბეტონი და რკ/ბეტონის კონსტრუქციები“

კვლევა – ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე მდებარე ნაგებობების N06/1 და N07/1 სადემონტაჟო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 10 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობახ სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში, მათზე რაიმე სახის ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მოსწორებული ზედაპიროს მქონე რელიეფს, მიწის ნაკვეთზე განლაგებულია გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აგებული სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობები, მათგან სადემონტაჟო შენობები N06/1 და N07/1 წარმოადგენენ ერთსართულიან მზიდკედლებიანი კონსტრუქციული წყობის მქონე საწყობებს, რომელთა მზიდი კედლების შემავსებლად გამოყენებულია წითელი და სილიკატური აგური. მათის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ისინი ექვემდებარებიან დემონტაჟს. მათი განთავსების ლოკაციიდანდან 10 მეტრის რადიუსში განთავსებულია საპროექტო ნაკვეთზე არსებული ნაგებობები N04/1 და N05/1, ხოლო მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.12.014.012) მდებარე შენობა N1; მათი ტექნიკური მდგომარეობა და მათზე რაიმე სახის ზემოქმედება განხილულ იქნა განცალკევებით. კერძოდ,

საპროექტო ნაკვეთზე განთავსებული შენობა N05/1 - ის წარმოადგენს დამოუკიდებელ საძირკვლებზე მოწყობილ მცირე გაბარიტების მქონე მზიდკედლებიანი ტიპის ნაგებობას, რომელიც სადემონტაჟო შენობას უშუალოდ ემიჯნება. ამ ნაწილში სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ყოველგვარი ტექნიკის ჩარევის გარეშე, მუშა-ხელის მეშვეობით, ხელის დაბალი სიმძლავრის მქონე ხელსაწყოების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში მასზე ზეგავლენას სადემონტაჟო სამუშაოები არ მოახდენენ. ანალოგიური შეიძლება ითქვას შენობა N04/1-ზე, რომელიც სადემონტაჟო შენობიდან 8,00-9,00 მეტრის დაშორებითაა განთავსებული. მასზე სადემონტაჟო სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენენ.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.12.014.012 - მასზე მდებარეობს შენობა N1, რომელიც დამოუკიდებელ საძირკველზე მდგომია და სადემონტაჟო შენობებს უშუალოდ ემიჯნება დასავლეთის მხრიდან. ის თვისობრივი კონსტრუქციული წყობით მზიდკედლებიანი ნაგებობაა. მის გასწვრივ სადემონტაჟო სამუშაოების დროს დაუშვებელია მასში მძიმე ტექნიკის ჩარევა, სადემონტაჟო კედლები დაიშალოს მუშახელის მეშვეობით, ხელით, დაბალი სიმძლავრის მქონე ხელსაწყოების დახმარებით, ხოლო გადახურვის ფილები მოიხსნას ავტო-ამწის საშუალებით უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სამუშაოების ასეთი სახით ჩატარაება ნაკვეთზე მდებარე შენობაზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს.

სხვა შენობა-ნეგებობები ჩემს მიერ არ განხილულა, სადემონტაჟო შენობებიდან 10,00 მეტრზე მეტი მანძილის დაშორების გამო.

დასკვნა - ქ.თბილისი, მეველეს ქ.N7ა (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.12.014.053) მდებარე ამორტიზებული, სასაწყობე დანიშნულების N06/1 და N07/1 შენობების სადემონტაჟო სამუშაოების მიზანშეწონილად მიმაჩნია. დაგეგმილი სამუშაოების ლოკაციის მომიჯნავედ მდებარე შენობების გასწვრივ სადემონტაჟო შენობების მზიდი აგურით ნაშენი კედლების მუშა-პერსონალის მიერ ხელით დაშლის შემთხვევაში სამუშაოების ზეგავლენა ფაქტობრივად ნულამდე იქნება დაყვანილი. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ისინი რაიმე სახის სპეციალური ღონისძიებების გატარებას, გამაგრების თვალსაზრისით, დემონტაჟის პერიოდში არ საჭიროებენ. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებას ცალსახად დადებით რეკომენდაციას ვაძლევ.

შპს „კრუგი“-ს დირექტორი

ლ.ოსეფაშვილი

შეასრულა:

ინჟინერ-კონსტრუქტორი

თ.ქვრივიშვილი

დიპლომი

Б-I № 020084

ეს დიპლომი მიეცა ქვრივიშვილს თამაზ ალექსანდრეს ძეს

მასზე, რომ იგი 1971 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. (სახ. = სახელობის) საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1976 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1976 წ. „28" [illegible] გადაწყვეტილებით თ.ა. ქვრი[illegible]

ინჟინერ-[illegible] კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის [illegible] ...

ბ. ა.

[illegible] ...

ქალაქი თბილისი 1977წ. „26" [illegible]

სარეგისტრაციო № СТ. 4901

Грузинский вз.

ДИПЛОМ

Б-I № 020084

Настоящий диплом выдан Квривишвили Тамазу Александровичу

в том, что он в 1971 году поступил в Грузинский политехнический ин-ут им. В.И. Ленина

и в 1976 году окончил полный курс названного института

по специальности Промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от [illegible] июня 1976 г.

К[illegible] Т.А.

присво[illegible] [illegible]ия

инж[illegible]теля

Председатель Государственной экзаменационной комиссии ...

[illegible] ...

М. П.

[illegible] „26" [illegible] 1977 г.

Регистрационный № СТ. 4901

Московская типография Гознака, 1974.

GEO



18IC18744

FIRST NAME
თამაზი
TAMAZI

LAST NAME
ივრიშვილი
IVRISHVILI

SEX
03 / M

PERSONAL NO
01023010545

DATE OF BIRTH
16.01.1954

DATE OF EXPIRY
30.11.2026



CV

გვარი, სახელი, მამის სახელი: - ქვრივიშვილი თამაზი ალექსანდრეს ძე

მისამართი: - ქ.თბილისი, ქვიშხეთის 1კ. 21 ბინა

ტელეფონი: - ტელ: 2 61 59 49
მობ: 5 99 50 59 49

განათლება: - 1971 წელს ჩავაბარე და 1976 წელს დავამთავრე ვ.ი.ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

- მშნებელ-ინჟინერის სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება 1976 წლიდან დღემდე.

- თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი საპროექტო ინსტიტუტი (თბილზნიეპი) 1976-1985წწ.

- საპროექტო ინსტიტუტი "საქკურორტპროექტი" ჯგუფის ხელმძღვანელად 1985-2002წწ.

- 2002 წლიდან დღემდე ტერიტორიათა განვითარების სააგენტო " თბილქალაქპროექტში" მე-11 და მე-7 შემოქმედებითი სახელოსნოს მთ. კონსტრუქტორი.

- შ.პ.ს. "ნარბი +" დირექტორი, ინჟინერ კონ-სტრუქტორი.
- 2014 წლიდან დღემდე განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვი-თარების სააგენტოში კონსტრუქტორად, თემატური პროექტების დასამუშავებლად.

ენების ცოდნა: - ქართული– მშობლიური
- რუსული-კარგად

სხვა მონაცემები:

კომპიუტერული პროგრამები:
OS: Auto cad; ArchiCAD; Windows XP; Microsoft Office; Internet Explorer;

ინჟინერ-კონსტრუქტორის თ. ქვრივიშვილის მიერ შესრულებული ობიექტების სია

1. 16 სართულიანი მრავალფუნქციური სახლი ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) ქუჩაზე, დამკვეთი "ტექს-ჯგუფი".
2. 12 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გოთუას ქ.№26. დამკვეთი შ.პ.ს "მოდული".
3. მრავალბინიანი 9 სართულიანი, საცხოვრებელი სახლი ბაგებში წყნეთის გზატკეცილზე, დამკვეთი შ.პ.ს "მოდული".
4. საოფისე 4 სართულიანი შენობა ბაგებში წყნეთის გზატკეცილზე, დამკვეთი შ.პ.ს "მოდული".
5. მრავლბინიანი საცხოვრებელი სახლი ქუთაისის ქ.№14-ში. დამკვეთი მოქ: მ.გაგნიძე.
6. 3 სართულიანი ინდ. საცხოვრებელი სახლი მცხეთის რ-ნი სოფ. წეროვანში.
7. 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი უშ. ჩხეიძის ქ.№6. დამკვეთი, მოქ: ანზორ კრიხელი.
8. 2-3 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.
9. წისქვილი, ქ. თბილისის ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქ.№15-ში.
10. ს.ს. "ელმავალმშენებლის" სამჭედლო საამქროს რეკონსტრუქცია-გამაგრების პროექტი.
11. საექსპერტო და ტექნიკური დასკვნები ძვ თბილისის რაიონის გამგეობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაკვეთით.
12. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია დაბა ბორჯომში.
13. სამების სახელობის ეკლესია ქ. თბილისში, ვაკეში.
14. სარეაბილიტაციო-რეკონსტრუქციული სამუშაოები ქ.თელავში, ქ. ქუთაისში და ქ. წყალტუბოში.
15. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ. თბილისი, დეპოს ქ.№23.
16. ქ. თბილისი, გოთუას ქ. №28, ამხანაგობა "ვასილ ქუმსიაშვილი--გოთუა 28"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ოფისით.
17. ქ. თბილისში, იაშვილის ქ. №18-ში მდებარე შენობაზე, მოქ. ნიკოლოზ ქიტიაშვილის კუთვნილი ბინის რეკონსტრუქცია (დაპროექტება, მშენებლობა).
18. წისქვილის დაპროექტება და მშენებლობა, ხოლო შემდეგში რეკონსტრუქჩია, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში.
19. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის და დახურული საცურაო აუზის დაპროექტება (კონსტრუქციული ნაწილი) და მშენებლობა ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩაზე.
20. საზოგადოებრივი ცენტრი (სოფლის სახლი) ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფ. ყვარელწყალი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ. მუხაესტატე; საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფ. კორბოული.
21. მეცხოველეობის სასწავლო ფერმა ქ. სენაკში განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაკვეთით.
22. მეცხოველეობის სასწავლო ფერმა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში, განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაკვეთით.

23. პროფტექნიკური სასწავლებლების შენობების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტები ქ. სენაკში, მცხეთის მუნ. სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, ქ. თიანეთში, ლაგოდეხის მუნ. სოფ. შრომაში განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაკვეთით.
24. მრავალბინიანი, 16 სართულიანი საცხოვრებელი ორი კორპუსი ქ. თბილისში მინდელის ქუჩის მიმდებარედ.
25. სასტუმრო შენობის რეკონსტრუქცია ბოტანიკური ბაღისა და სამღებრო ქუჩების კუთხეში ქ. თბილისში
26. მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №94
27. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქ. თბილისში, ლვოვის ქ. №63
28. მრავალსართულიანი, მრავალბინიანი და პროფილიანი კომპლექსის პროექტი ქ. რუსთავში, "სტამბულის ბაზრის" მიმდებარედ.
29. ზუგდიდის, ყვარლის, ფოთისა და აბასთუმანის წყალ-კანალიზაციის სისტემის რეკონ-სტრუქცია-რეაბილიტაცია.
30. ქ. ზუგდიდში, შ. მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის პროექტი.

ასევე სხვადასხვა პატარა ობიექტებზე საპროექტო, საექსპერტო და კონსტ-რუქციული დასკვნები.